გიორგი ჭაუჭიძე

ლუსინეს რვაფეხა

კითხვის დონე – 3.1 (ქართული ენა როგორც მეორე ენა)

ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)

მხატვარი – **ზურაბ სულაკაური**

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) მადლობას უხდის ლელა ქისტაურს, რეზო გოგიას, ნუგზარ არჩემაშვილს და ელისორეხვიაშვილს,რომლებმაცპაატაპაპავასხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ წიგნების მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მედეა კაკაჩიას (USAID) გაწეული დახმარებისთვის.

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალების შინაარსზე პასუხისმგებელია შემდგენელთა ჯგუფი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE G-PRIED Georgia Primary Education Project საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

გიორგი ჭაუჭიძე

ლუსინეს რვაფეხა

ლუსინე სკოლაშია. დღეს ოთხი გაკვეთილი აქვს:

პირველი – ქართული;

მეორე – მათემატიკა;

მესამე – ინგლისური;

მეოთხე – ხატვა.

ლუსინეს ხატვის გაკვეთილი ძალიან უყვარს.

ბავშვები წყლის ცხოველებს ხატავენ.

ბავშვები ცხოველებს ფერადი ფანქრებით ხატავენ.

— მე რვაფეხას დავხატავ, — ამბობს ლუსინე.

ლუსინე რვაფეხას ხატავს.

— მე ფერად რვაფეხას
დავხატავ, — ამბობს ლუსინე.

ლუსინე ფერად რვაფეხას
ხატავს.

ერთ ფეხს ლურჯად აფერადებს.

მეორე ფეხს ყვითლად აფერადებს.

მესამე ფეხს წითლად აფერადებს.

მეოთხე ფეხს მწვანედ აფერადებს.

მეხუთე ფეხს ყავისფრად აფერადებს.

მეექვსე ფეხს შავად აფერადებს.

მეშვიდე ფეხს ცისფრად აფერადებს.

მერვე ფეხს არ აფერადებს.

ლუსინეს რვაფეხას რვა ფეხი აქვს.

ერთი ფეხი ლურჯი აქვს.

მეორე ფეხი ყვითელი აქვს.

მესამე ფეხი წითელი აქვს.

მეოთხე ფეხი მწვანე აქვს.

მეხუთე ფეხი ყავისფერი აქვს.

მეექვსე ფეხი შავი აქვს.

მეშვიდე ფეხი ცისფერი აქვს.

მერვე ფეხი თეთრი აქვს.



— მე ფერადი რვაფეხა მყავს, — ამბობს ლუსინე.

— შენ ძალიან ლამაზი რვაფეხა გყავს, — ამბობს მასწავლებელი.